საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2015 წლის 13 ნოემბრის

დადგენილება №1813

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
უცხოური ენის შესწავლისას კომპიუტერული
პროგრამის „TELL ME MORE“ გამოყენების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხოური ენის შესწავლის პროცესში კომპიუტერული პროგრამის „TELL ME MORE“ გამოყენებისას სტუდენტის შესაბამისი აქტიურობა აისახოს მის შეფასებებში. ამ მიზნით, სტუდენტის ყოველკვირეული აქტიურობის შეფასებებს დაემატოს ქულები აღნიშნული პროგრამით აქტიური მეცადინეობების ხანგრძლივობის შესაბამისად, კერძოდ:
    - 10-დან 20 საათამდე – 1 ქულა;
    - 20-დან 30 საათამდე – 2 ქულა;
    - 30-დან 40 საათამდე – 3 ქულა;
    - 40-დან 50 საათამდე – 4 ქულა;
    - 50-დან 60 საათამდე – 5 ქულა;
    - 60-დან 70 საათამდე – 6 ქულა;
    - 70-დან 80 საათამდე – 7 ქულა;
    - 80-დან 90 საათამდე – 8 ქულა;
    - 90-დან 100 საათამდე – 9 ქულა;
    - 100 საათი და მეტი – 10 ქულა;
2. ქულათა ჯამმა არ უნდა გადააჭარბოს ყოველკვირეული აქტიურობის შეფასებების მაქსიმუმს;
3. მითითებული ქულების შეტანა დაევალოს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე